ხელშეკრულება №49/1

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი . 8 მაისი 2019 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დავით დოიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „დეგაპრინტ+“ (საიდ. კოდი – 204558086)** (შემდგომში - მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში და ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 ხელშეკრულების საგანია **სპექტაკლებისთვის პოსტერების ბეჭდვის მომსახურების** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 **CPV-22458000**

1.3 ხელშეკრულების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს **30,00 (ოცდაათი)** ლარს, რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიმწოდებისთვის საჭირო ყველა ხარჯს, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში **საკუთარი** სახსრებიდან.

2.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს **10 სამუშაო დღისა.**

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები.

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **5 სამუშაო დღის ვადაში.**

3.2 შესყიდვის განხორციელების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნვლყოფს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების წარდგენას.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტი მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4.3 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლის გათვალისწინებით.

5.2. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:
- განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დროულად და კეთილსინდისიერად შესრულება.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

7. სხვა პირობები

7.1 სადავო საკითხის არსებობისას შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადენილი წესით;

7.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

8. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	**შპს „დეგაპრინტ+“**
	საიდ. კოდი – 204558086
	ბანკი: „თიბისი ბანკი“
	ბანკის კოდი: TBCBGE22
	ა/ა № GE53TB1199036020100004
	მის: თბილისი, ჭანტურიას #5
ს/კ - 201948928	
მის: დავით აღმაშენებლის გამზირი 182	
ტელ: 2357507	

თეატრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
დავით დოიაშვილი

Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy And Drama Professional State Theatre

Digitally signed by Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy And Drama Professional State Theatre
Date: 2019.05.10 11:11:34 +04'00'

მიღება–ჩაბარების აქტი#1

ქ. თბილისი **8 მიასი 2019 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახ. თეატრი (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დავით დოიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „დეგაპრინტ+“ (საიდ. კოდი – 204558086)** (შემდგომში - მიმწოდებელი), სახით ვადასტურებთ, რომ შემსყიდველმა ჩაიბარა **სპექტაკლისთვის საჭირო პოსტერები CPV 22458000,** მხარეთა შორის 2019 წლის 8 მაისს გაფორმებული **#49/1** ხელშეკრულების შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვის ღირებულება შეადგენს **30,00 (ოცდაათი)** ლარს.

რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით**:**

“შემსყიდველი”

სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის
მუსიკალური კომედიისა და დრამის
პროფესიული სახელმწიფო თეატრი
ს/კ - 201948928
მის: დავით აღმაშენებლის გამზირი 182
ტელ: 2357507

თეატრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
დავით დოიაშვილი

“მიმწოდებელი"

შპს „დეგაპრინტ+“
საიდ. კოდი – 204558086
ბანკი: „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE53TB1199036020100004
მის: თბილისი, ჭანტურიას #5
ტელ: 2998353

Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy And Drama Professional State Theatre

Digitally signed by Tbilisi Vaso Abashidze Musical Comedy And Drama Professional State Theatre
Date: 2019.05.10 11:11:49 +04'00'